ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი
15 ივნისი
1955 წელი
№ 48 (854)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო



ჯავაჰარლალ ნერუ თბილისში

13 ივნისს ყირიმიდან თბილისს ჩამოვიდა ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. რ. პილაი, ინდოეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების გამგე ა. ჰუსეინი, ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონი.

აეროდრომზე შეიკრიბა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი. სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ი. კუჭავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. გ. წერქაძე, დ. გ. მამაცაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კ. მაღრაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. სეხნიაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ა. ლ. გუნია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ნ. ინაური, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. ზ. ჯანელიძე და სხვები.

პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. იგი ამბობს: საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს აახლოებს ის, რომ ორივე ქვეყანა საარსებოდ დაინტერესებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფით.

ჯავაჰარლალ ნერუმ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულთბილი მიღებისათვის.

— ყველგან, სადაც უნდა მივსულიყავი, — განაცხადა ჯავაჰარლალ ნერუმ, — გულღია და გულითად მიღებას ვხვდებოდი. ეს შეხვედრა ნებას მაძლევს განვიცადო ჩვენი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ნათესაობის გრძნობა. მე ვფიქრობ, — განაგრძო ჯავაჰარლალ ნერუმ, — რომ მშვიდობა ყოველთვის იყო ძირითადი აუცილებლობა და განსაკუთრებით აუცილებელია ამჟამად.

მთელ გზაზე, აეროდრომიდან ქალაქში, ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს გულთბილად ხვდებოდა ათასობით ადამიანი.

13 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა სადილი გამართა ჯავაჰარლალ ნერუს პატივსაცემად. სადილმა მეგობრულ გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ თავის ქალიშვილ ინდირა განდისა და მის თანმხლებ პირებთან ერთად ეწვია ქალაქ რუსთავს, სადაც გაეცნო სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას. რუსთავიდან ჯავაჰარლალ ნერუ გაემართა დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დასათვალიერებლად.

საღამოს ჯავაჰარლალ ნერუ თავის ქალიშვილ ინდირა განდისთან და მის თანმხლებ პირებთან ერთად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრო სპექტაკლს — დ. თორაძის ბალეტ „გორდას“. ჯავაჰარლალ ნერუს დარბაზში მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ.

14 ივნისს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ და მისი თანმხლები პირები თბილისიდან ტაშკენტს გაფრინდნენ.

• • •

თბილისის აეროდრომზე შეკრებილ საზოგადოებრიობას სიტყვით მიმართავს ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ.

სურათზე: (მარჯვენიდან მარცხნივ): გ. დ. ჯავახიშვილი, ჯავაჰარლალ ნერუ, ვ. პ. მჟავანაძე, ე. ა. სეხნიაშვილი, მ. მ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა თბილისის აეროდრომზე.

დიდი საქმე

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ფუძემდებელი გენიალური ლენინი ამბობდა: „სოციალიზმი არა თუ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ იგი გამოყენებულ იქნას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად, მასობრივად, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ თავი გამოიჩინონ, გაშალონ თავიანთი ნიჭი, გამოავლინონ ტალანტი, რომელიც ხალხში აურაცხელია...“

საბჭოთა ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განუხრელ აღმავლობაში დიდი წვლილი მიუძღვის სოციალისტურ შეჯიბრებას. სოციალისტური შეჯიბრება ეს ის ცხოველმყოფელი ძალაა, რომელიც აღაფრთოვანებს მასებს, ავლენს მათ შემოქმედებითს შესაძლებლობებს. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ჩვენი საწარმოები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს, ქმნიან ახალს, ხელს უწყობენ სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის განვითარებისათვის, სექციებში მასების ჩაბმისათვის, მაღალი თანრიგის სპორტსმენთა, რეკორდსმენთა გამოვლინებისათვის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი ძალით ააზვირთა ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში.

მეტად სასარგებლო, პატრიოტული საქმის გაკეთება შეუძლია სოციალისტურ შეჯიბრებას ხალხთა სპარტაკიადის მზადების დღეებში. როგორც ცენტრალური გაზეთები იუწყებიან, უკვე გამოჩნდნენ ამ დიდი საქმის ინიციატორები. ლენინგრადის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სპარტაკიადის სანიმუშოდ მომზადებისა და მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ქუთაისის კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის კრების მიმართვას თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის კომკავშირელებისა და ფიზკულტურელებისადმი. ქუთაისელმა ამხანაგებმა გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს ოსტატთა, თანრიგოსანთა და ნიშნოსანთა მომზადებაში, ბაზების აგებაში და სხვ. ეს თაოსნობა ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების დაძაბულ დღეებში მეტად ძვირფასია.

ახლა, როდესაც ცნობილია ქუთაისელთა ვალდებულებები, ყველა კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაცია ვალდებულია გადახედოს თავის შესაძლებლობებს, დააზუსტოს ყოველი წვრილმანი და აქტიურად დაუჭიროს მხარი ამ ინიციატივას. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სოციალისტური შეჯიბრების გარეშე არ დარჩეს არც ერთი ორგანიზაცია. ყველა ფიზკულტურელი, სპორტსმენი საქმის კურსში უნდა იყოს და სისტემატურად იღვწოდეს ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები, ყოველი კომკავშირელი მოწოდებულია მტკიცედ იდგეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ განაღდებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. სარბენი ბილიკის სტარტზე თუ საჭიდაო ხალიჩაზე, კალათბურთის ფარებთან თუ ფეხბურთის მოედანზე, ველოტრეკზე თუ სასროლეთზე — კომკავშირელი უნდა იყოს მოწინავე, მაგალითის მიმცემი სხვებისათვის.

ვალდებულების აღებით ეფექტის მოხდენა და ამით თავის გამოჩენა კი არ არის მთავარი, არამედ ვალდებულებების სასახელოდ შესრულება. ჩვენც მუშაობა ამ გზით უნდა წარვმართოთ. აღებული ვალდებულება უნდა იყოს კონკრეტული, ზუსტი, იგი არ უნდა აღემატებოდეს იმ შესაძლებლობას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გაზრდილი ვალდებულება არ ვიკისროთ, პირიქით, სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მთავარი მიზანი გეგმების მაღალხარისხოვნად, დროულად და გადაჭარბებით შესრულებაა.

სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელი ტალღა მძლავრად აზვირთდა. იგი გამოავლენს ახალ თანრიგოსნებს, ოსტატებს, რეკორდსმენებს, კიდევ უფრო შინაარსიანს, საინტერესოს გახდის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, ხელს შეუწყობს ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდების დაკომპლექტებას და მოძმე რესპუბლიკებთან სპორტულ ბრძოლაში საუკეთესო შედეგების მიღწევას.

ბუდაპეშტის სახალხო სტადიონზე

ბუდაპეშტში დამთავრდა კალათბურთში ევროპის პირველობის გათამაშების პირველი ეტაპი — თამაშები ქვეჯგუფში.

მოულოდნელი იყო პირველი ქვეჯგუფის გუნდების შეხვედრათა შედეგები. ფინალში ვერ მოხვდა გასული ჩემპიონატის პრიზიორი — საფრანგეთის ნაკრები. ამ ქვეჯგუფიდან ფინალურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს იუგოსლავიამ და პოლონეთმა. მათ გარდა პირველი-მერვე ადგილისათვის იბრძვიან უნგრეთი, იტალია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი და საბჭოთა კავშირი.

◆

დაიწყო ევროპის მე-9 ჩემპიონატის ფინალი

◆

ფინალის პირველ დღეს გაიმართა 4 შეხვედრა. რუმინეთის ნაკრებმა დაამარცხა პოლონეთის გუნდი — 69:56, ბულგარეთმა — იუგოსლავიის კოლექტივი 84:66. მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა გასული ჩემპიონატში მეორე ადგილზე გამოსულ უნგრელებზე — 75:65.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ამ დღეს შეხვდა იტალიის გუნდს. თამაშის პირველმა ნახევარმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. შესვენებისათვის ანგარიში იყო 30:26 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ. მეორე ნახევრის პირველსავე წუთებზე ანგარიში გათანაბრდა — 30:30. შემდგომში უპირატესობა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის მხარეს იყო. მსაჯის საფინალო სასტვენმა აღნიშნა ანგარიში 54:48 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

სამჭიდში 518,5 კილოგრამი

კლივლენდში ორ დღეს გრძელდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პირველობის გათამაშება ძალოსნობაში.

მჩატე წონაში პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ვინჩიმ — 312,5 კილოგრამი. ქვემსუბუქ წონაში ახალგაზრდა 17 წლის ბერგერმა დაიკავა პირველი ადგილი შედეგით — 319 კილოგრამი. მსუბუქ წონაში უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა პიტმენმა — 376,5 კილოგრამი. ქვესაშუალო წონაში პირველი ადგილი დაიკავა კილერმა — 362,5 კილოგრამი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მძიმე წონის სპორტსმენთა შეჯიბრება. პირველი ადგილი წილად ხვდა ანდერსონს — 473,5 კგ. უნდა აღინიშნოს, რომ ანდერსონმა აკვრაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 193 კილოგრამი.

ამა წლის აპრილს ანდერსონმა მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობა გააკვირვა ახალი ფენომენალური შედეგებით. მან აჭიმვაში 14 კილოგრამით გააუმჯობესა ჰეპბურნის მსოფლიო რეკორდი და აჩვენა 182,5 კგ. ანდერსონმა ძალოსნობის ისტორიაში ჯერ არნახული შედეგით დაამთავრა შეჯიბრება. მან სამჭიდის ჯამში დააგროვა 518,5 კილოგრამი.

ამ დღეებში მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსანთა ნაკრები გუნდი. დღეს გორკის სახელობის პარკის მწვანე თეატრში გაიმართება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ძალოსანთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა.

2 მეტრსა და 2 სანტიმეტრზე

მოსკოვში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე მაღალ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა ვ. სიტკინმა და ი. სტეპანოვმა. ვ. სიტკინმა სიმაღლეზე ხტომაში დაძლია ორი მეტრი. იგივე შედეგი გაიმეორა ახალგაზრდა მძლეოსანმა სტეპანოვმა. შემდეგ ცდაზე მან ეს შედეგი ორი სანტიმეტრით გააუმჯობესა, რაც ახალი საკავშირო რეკორდია.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ნორვეგიაში

ამას წინათ მოსკოვიდან ნორვეგიაში გაფრინდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ვ. ჩუკარინი და ა. აზარიანი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ნორვეგიის ტანვარჯიშული საზოგადოების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეჯიბრებაში. თავიანთი ქვეყნების სპორტული ღირსების დასაცავად გამოვლენ აგრეთვე ნორვეგიის, საფრანგეთის, შვეიცარიის და შვეციის ტანმოვარჯიშეები.

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები დაიწყება 17 ივნისს.

წერილების კვალდაკვალ

„შრაპანის რკინიგზის კვანძზე ჩამოყალიბებული არ არის ჭადრაკის წრე, არ გვაქვს საჭადრაკო ინვენტარი, მუშაობა ჩაშლილია მაშინ, როცა ბევრია ამ სპორტის მოყვარული"... გვწერდა ამასწინათ ჩვენი გაზეთის მკითხველი.

როგორც საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორებულია: შეძენილია ჭადრაკის თორმეტი კომპლექტი, ჩამოყალიბებულია წრე, გამოყოფილია წრის ხელმძღვანელი. კვანძის ფიზკულტურის ინსტრუქტორს დაევალა სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს წრის მუშაობას.

ქუთაისის კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრების მიმართვა თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის კომკავშირლებისა და ფიზკულტურლებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ქალაქ ქუთაისის კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრებამ განიხილა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების საკითხი და აღნიშნა, რომ ქალაქის კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დამაკმაყოფილებელი მუშაობა გასწიეს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცების, ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისა და ახალი სპორტული ბაზების მშენებლობის საქმეში. მაგრამ ჩატარებული მუშაობა ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც სახელოვანი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უსახავენ ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებს ხალხთა სპარტაკიადის მზადების დღეებში.

ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის და რაც შეიძლება მეტი მაღალი თანრიგის სპორტსმენთა აღზრდისათვის ქალაქის კომკავშირელებმა და ფიზკულტურელებმა შემდეგი ვალდებულება ვიკისრეთ:

1. ორგანიზებულად განვამტკიცებთ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს, ფიზკულტურასა და სპორტში სპარტაკიადის მზადების დღეებში ჩავაბამთ 10.000 კაცს. ე. ი. ფიზკულტურულ კოლექტივებში გაერთიანებულ მშრომელთა რაოდენობას ავიყვანთ 25.000-მდე.

2. ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში დამატებით შევქმნით 60 ფიზკულტურულ კოლექტივს, რითაც მათი რაოდენობა 170-დე გაიზრდება.

3. მიმდინარე წელს თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადების გეგმას შევასრულებთ გადაჭარბებით: მშთ I საფეხურზე გეგმით გათვალისწინებულ 900-ის ნაცვლად მოვამზადებთ 1000 კაცს. II საფეხურზე 418-ის ნაცვლად 450 კაცს.

4. მიმდინარე წელს სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოვამზადებთ 10 ოსტატს (გეგმა ითვალისწინებს 5-ს), 40 პირველთანრიგოსანს (გეგმა ითვალისწინებს 31-ს), 240 მეორეთანრიგოსანს, 900 მესამე თანრიგოსანს და 400 ჭაბუკთა თანრიგოსანს.

5. სპორტის ცალკეულ სახეობის მიხედვით მოვამზადებთ სპორტის ოსტატებს: ალპინიზმში — 2, კრივში — 2, ჭიდაობაში — 3, ტანვარჯიშში — 3. მომზადდება და გადამზადდება საზოგადოებრივი კადრები. ხალხთა სპარტაკიადის მზადების დღეებში ყველა კომკავშირელი ჩააბარებს მშთ ნორმატივებს.

6. ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში, საერთო საცხოვრებლებსა და პარკებში ახალგაზრდობის ძალებით აღდგენილ იქნება 55 მარტივი ტიპის მოედანი, მათ შორის: მძლეოსნობის — 16, კალათბურთის — 15, ფრენბურთის — 15, ფეხბურთის — 5, ტანვარჯიშული ბაქანი — 5, ტირი — 10, სასროლეთი 600-მეტრიანი — 1, ჩოგბურთის კორტი — 3, საცურაო აუზი — 2. ვკისრულობთ რა ზემოდ აღნიშნულ ვალდებულებების შესრულებას, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის კრების დავალებით: ე. შევარდნაძე, საქ. ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი; **ა. ჩოგოვაძე,** ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე; **ი. თავდიდიშვილი,** ტანვარჯიშის უფროსი მწვრთნელი; **ი. ბალანჩივაძე,** განათლების განყოფილების გამგე, **გ. ძიმისტარიშვილი,** ლიტოპონის ქარხნის დირექტორი და ფიზკულტურის საბჭოს თავმჯდომარე, **ი. ბობოხიძე,** ჭიდაობის საქალაქო სექციის თავმჯდომარე და უფროსი მწვრთნელი; **ი. მარქაროვი,** კრივის საქალაქო სექციის თავმჯდომარე; **ი. არღანაშვილი,** კალათბურთის საქალაქო სექციის თავმჯდომარე; **ს. თორთლაძე,** ახალგაზრდობის სპორტული სკოლის დირექტორი; **გ. სვანიძე,** მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი და სხვ.

აქტივის კრებაზე

ამ დღეებში ჩატარდა თელავის კომკავშირულ-ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა საქ. ალკკ თელავის რაიკომის მდივნის ნ. მალუძის მოხსენება — „საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის მზადების შესახებ". მომხსენებელმა და სიტყვაში გამოსულმა ამხანაგებმა სპორტსკოლის დირექტორმა გ. სტეფანოვმა, ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ა. მაისურაძემ, ნაფარეულის საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ტ. ბასილაშვილმა, ფიზაღზრდის მასწავლებელმა ა. კაპანაძემ და სხვებმა კრების ყურადღება გაამახვილეს მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ რაიონის ფიზკულტურული ორგანიზაციები არასაკმაოდ ემზადებიან რესპუბლიკური და საკავშირო ხალხთა სპარტაკიადებისათვის. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ რაიონში სუსტად მიმდინარეობს ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება. არ არსებობს არც ერთი კეთილმოწყობილი ბაზა, სადაც სპორტსმენებს შეეძლებათ ჩაატარონ საწვრთნელი ვარჯიშები. აქტივზე აღინიშნა აგრეთვე ფეხბურთელთა გუნდების „სპარტაკისა" და „კოლმეურნის" არადამაკმაყოფილებელი შედეგები რესპუბლიკურ პირველობაზე, მხილებულ იქნა სპორტსაზოგადოებათა რაისაბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

აქტივის კრებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ხაჩიძე.

კრებამ მიიღო სათანადო დადგენილება.

მ. ორკოდაშვილი

აზუსტებენ მომავალ ლაშქრობათა მარშრუტს.   ფოტოეტიუდი გ. ქიმერიძისა.

დედაქალაქის პირველობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დამთავრდა ქალაქის უძლიერესი გუნდების ტურნირი. შეჯიბრების პირველსავე დღიდან ბრძოლამ თბილისის ჩემპიონის საპატიო სახელისათვის მწვავე ხასიათი მიიღო.

ქალთა გუნდებში დიდხანს წაუგებლად მიდიოდნენ რესპუბლიკის გასული წლის ჩემპიონი, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათ შორის შეხვედრას უნდა გამოემჟღავნებინა, რომელი გუნდი დაისაკუთრებდა პირველ ადგილს. მართალია შეხვედრა ერთი ქულის განსხვავებით მოიგო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, მაგრამ ეს იყო ორი თანაბარი სიძლიერის კოლექტივების ორთაბრძოლა. შემდეგ მომავალმა ინჟინრებმა ყველა შეხვედრა მოიგეს და დაისაკუთრეს პირველი ადგილი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მეორე ადგილზე დარჩა.

ქალთა გუნდების შეხვედრისაგან დიდად არ განსხვავდებოდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვაჟთა კოლექტივების მატჩიც. აქაც უპირატესობა ხან ერთი, ხან მეორე გუნდის მხარეს იყო. უკანასკნელ წამებში უნივერსიტეტი წინ იყო ქულით, მაგრამ მინაშვილმა საჯარიმო სროლით გაათანაბრა ანგარიში, ხოლო დამატებით ხუთ წუთში პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა შეხვედრა ერთი ქულით მოიგო. მას შემდეგ, რაც „დინამომ" შესუსტებული შემადგენლობით წააგო შეხვედრა განათლების განყოფილების გუნდთან, გამარჯვებულის გამოსავლინებლად საჭირო გახდა დამატებითი შეხვედრა „დინამოსა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის. ეს მატჩი მოიგეს დინამოელებმა და შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო უნივერსიტეტის — მესამეზე.

დ. კომახიძე,
ს. გარიშვილი

სასტენდო სროლა

თბილისის „მონკავშირის" სტენდზე ხუთ დღეს გრძელდებოდა დედაქალაქის პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში.

შეჯიბრება მრგვალ სტენდზე აღინიშნა სამხედრო-მონადირეთა საზოგადოების პირველი გუნდის გამარჯვებით. ქალთა გუნდებს შორის პირველი იყო „მონკავშირი".

ადგილიდან სროლაში „მონკავშირის" პირველმა გუნდმა 600 შესაძლებლიდან დააზიანა 448 სამიზნე და გაიმარჯვა. მეორე ადგილზე გამოვიდა სამხედრო-მონადირეთა საზოგადოების გუნდი. ქალთა შორის გამარჯვება კვლავ „მონკავშირის" წარმომადგენლებს დარჩათ. პირად შეჯიბრებაში ამ სახეობაში პირველი 100 გასროლიდან ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა პირველთანრიგოსანმა ნ. ბარხოტკინმა, რომელმაც 96 სამიზნე დააზიანა, მაგრამ მეორე 100 გასროლის შემდეგ მან ვერ შეინარჩუნა უპირატესობა და გამარჯვება სპორტის ოსტატ ბ. ანტონოვს დაუთმო. სპორტის ოსტატებმა ვ. ჯაბახიძემ და ი. საგანელიძემ დაიკავეს მეორე-მესამე ადგილები. ქალთა შორის საუკეთესო იყო ე. მელიქიშვილი. შეჯიბრება მრგვალ სტენდზე დამთავრდა ვაჟთა შორის ბ. ანტონოვისა და ქალთა შორის — თ. ციციშვილის გამარჯვებით.

მისვლით სროლა დაიწყო 27-მა მონაწილემ, მაგრამ პირველი 25 გასროლის შემდეგ შეჯიბრების გაგრძელების უფლება მხოლოდ ექვსმა შეინარჩუნა. ფინალში გაიმარჯვა ოსტატმა დ. ცაგარეიშვილმა. ოსტატმა ვ. ჯაბახიძემ და მეორეთანრიგოსანმა კ. კლდიაშვილმა მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს. ერთდროულად ამოფრენილ წყვილ სამიზნეებზე სროლაში უძლიერესი აღმოჩნდა საერთაშორისო ოსტატი ზ. მაჩხანელი, ქალთა შორის პირველობა წილად ხვდა ე. მელიქიშვილს.

ო. ივდოშვილი

სურათზე: ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა გუნდის „რუდა გვეზდასა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. ჩეხოსლოვაკელთა მეკარე ფ. გლავატი იღებს მაღალ ბურთს.

ფოტო ვ. ხემიონოვისა

ინდოეთი—ჭადრაკის სამშობლო

ინდოეთის უძველესი კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოვლენაა ჭადრაკის თამაშის გამოგონება, რომლის ავტორი სამწუხაროდ, დღესაც უცნობია. ხალხმა ჭადრაკის გამოგონების შესახებ მრავალი ლეგენდა შექმნა. აი, ერთი მათგანი.

V საუკუნის დამდეგს ინდოეთში რაჯად (მეფედ) ყოფილა მკაცრი ხასიათის ჭაბუკი შაჰრანი. ინდოელმა სწავლულმა სისმა მოინდომა მრისხანე რაჯას გულის მონადირება, მიართვა ახალგამოგონებული თამაში — 64 უჯრიანი დაფა და 32 ფიგურა. შაჰრანს მოეწონა თამაში, რომელმაც იგი ძალიან გაიტაცა და საინტერესო თამაშის გამომგონებლის დაჯილდოება ბრძანა.

— სთქვი რას ისურვებ და მზად ვარ აგისრულო. — უთხრა მას.

სისმა არ მოინდომა არც დიდება და არც სახელი, მან „სულ ცოტა“ რამ ითხოვა: დაფის ერთ უჯრაზე დაედოთ ხორბლის მარცვალი, მეორეზე ორჯერ მეტი ვიდრე პირველზე, მესამეზე ორჯერ მეტი ვიდრე მეორეზე, და ასე ბოლომდე გეომეტრიული პროგრესიით. რაჯას გაეღიმა სისის „უმნიშვნელო“ მოთხოვნაზე. მან უბრძანა თავის მოხელეებს დაეკმაყოფილებინათ გამომგონებლის სურვილი. გამოანგარიშებით მიღებულმა ციფრმა ყველა გააკვირვა. სისისათვის უნდა მიეცათ 18.446.744.073.709.551.615 მარცვალი, რაც არა მარტო ინდოეთში, არამედ მთელ აღმოსავლეთში არ მოიპოვებოდა.

ბუნებრივია, ამგვარი ლეგენდები ვერ დააკმაყოფილებენ მეცნიერებს. კვლევა-ძიება ძველი სანსკრიპტული (სანსკრიპტი — ძველი და შუასაუკუნეების დროის ინდოეთის ლიტერატურული ენაა, რომელზეც დაწერილია კლასიკური, რელიგიური, მეცნიერული ლიტერატურის დიდი ნაწილი) ძეგლების ამოკითხვამ ნაწილობრივ სინათლე მოჰფინა ინდოეთში ჭადრაკის შექმნის საკითხს. საბჭოთა მკვლევარები ინდოეთში ჭადრაკის გამოგონებას II-IV საუკუნეს მიაკუთვნებენ.

ჭადრაკი ძველ ინდოეთში სულ სხვა სახისა იყო. მას ჩატურანგა ერქვა. სანსკრიპტულ ხელნაწერებში ჩატურანგას სხვანაირად კიდევ ჩატურაჯას (ოთხი რაჯას სათამაშოს) უწოდებდნენ. ამ თამაშის წესებს თანამედროვე ჭადრაკთან კავშირი აქვს მხოლოდ ზოგიერთი ფიგურის სვლის უფლებასთან.

გამოჩენილი ხორასნელი მეცნიერი ალ-ბირუნი (970-1030 წ.), რომელმაც XI საუკუნეში ინახულა ინდოეთი, წერს: ინდოეთში ჭადრაკს ერთდროულად ოთხი კაცი ორი სათამაშო ძვლით თამაშობს.

ჩატურანგას დაფა ერთი ფერის იყო, ხოლო სხვადასხვა ფერის ფიგურები დაფის კუთხეებში იყვნენ განლაგებული. ჩატურანგაში არ იყო ლაზიერი, რომელიც შემდგომ, მხოლოდ V საუკუნეში შუააზიელებმა შემოიღეს. სვლები კეთდებოდა იმის მიხედვით თუ რა ნიშანზე დაჯდებოდა ნარდის კამათლის მსგავსი სათამაშო ძვალი. ჩატურანგაში თამაშის მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის რაც შეიძლება მეტი ფიგურის მოკვლა. თამაშის წინ ოთხივე მოთამაშე ფიგურის შეფასების მიხედვით (მეფე — 5, ეტლი — 4, მხედარი — 3, კუ — 2, პაიკი — 1) დებდა ფულს. ფიგურის მოკვლის დროს საერთო თანხიდან მოგებული იღებდა ფიგურის საფასურს. ის ვინც მოჰკლავდა მოწინააღმდეგის სამ მეფეს, ხოლო მისი მეფე დაფაზე დარჩებოდა, მთელი თანხა მიჰქონდა. ჩატურანგა იყო თამაში ბედზე, მან არ იცოდა არც შამათი და არც ქიში.

ჩატურანგას ფიგურები თავისებურად მოძრაობდნენ. მაგალითად, კუს (ინდოეთში ქართულად წოდებულ კუს, ისე როგორც რუსეთში, სპილო ეწოდება) შეეძლო წასულიყო ერთ უჯრაზე წინ და აგრეთვე ირიბათ თითო უჯრაზე.

აღსანიშნავია, რომ ჩატურანგაში ფიგურების განლაგება ძალზე წააგავს მაშინდელი ინდოეთის ჯარების წყობას, რომელიც ძირითადად შედგებოდა სპილოების, ცხენოსნების, საბრძოლო ეტლებისა და ქვეითებისაგან.

ჩატურანგას დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რაჯა ხარშას (VI ს.) მართველობის დროს იგი სამხედრო სკოლებში ისწავლებოდა, როგორც სავალდებულო საგანი. სხვათა შორის ხარშა აღნიშნავდა, რომ „მხოლოდ ჭადრაკის დაფა გვასწავლის, თუ როგორ უნდა განვალაგოთ ჯარები“.

საბჭოთა მეცნიერების უკანასკნელი გამოკვლევებით ჩატურანგა განვითარდა შუა აზიასა და ჩინეთში. ჩინური წყაროები გადმოგვცემენ, რომ III საუკუნეში მათ ინდოელებისაგან გაიცნეს ჭადრაკი. ამ დროის შუა აზიის ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ ხორასანში ქალაქ ნიშაპური დაგეგმილი იყო ჭადრაკის დაფის მსგავსად.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

„ა“ კლასის ოსტატთა მატჩები

ლენინგრადი. 12 ივნისი. ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ გუნდმა თავის მოედანზე მიიღო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — ცდსა (მოსკოვი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მინსკი. 12 ივნისი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და მოსკოვის „ლოკომოტივი“.

გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ — 1:0.

კუიბიშევი. 12 ივნისი. კიევის „დინამომ“ თავისი მორიგი შეხვედრა ჩაატარა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან“.

ანგარიშით 2:0 გამარჯვება მოიპოვეს კიეველებმა.

მოსკოვი. 13 ივნისი. მოსკოვის „დინამომ“ თავის სტადიონზე მიიღო „შახტიორი“ (სტალინო).

თამაში მოიგო „დინამომ“ — 6:0.

ლენინგრადი. 13 ივნისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა მატჩი ადგილობრივ „ზენიტსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის.

მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2.

გათამაშების ცხრილი

სსრ კავშირის პირველობა

„ა“ კლასი

მდგომარეობა 15 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მ.	10	7	3	0	26:5	17
ცდსა	10	6	4	0	17:6	16
„ტორპედო“	10	4	6	0	14:9	14
„სპარტაკი“ მ.	10	5	2	3	14:8	12
„ლოკომოტივი“	10	3	4	3	14:12	10
„დინამო“ კ.	9	3	3	3	10:11	9
„დინამო“ თბ.	10	3	3	4	11:16	9
„შრ. რეზერ“.	10	2	3	5	15:23	7
„ზენიტი“	9	2	3	4	9:14	7
„შახტიორი“	10	1	5	4	9:16	7
„კრ. სოვეტოვი“	10	2	2	6	9:20	6
„სპარტაკი“ მნ.	10	0	4	6	7:14	4

საქართველოს პირველობა

I ჯგუფი

მდგომარეობა 15 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ქუთ.	7	4	2	1	21:7	10
„დინამო“ ბათ.	7	5	0	2	10:5	10
ტ. ტ. ს.-ი თბ.	6	4	1	1	13:4	9
„კოლმეურნე“ მახ.	6	4	1	1	8:7	9
26 კომ. რ-ნი თბ.	7	4	0	3	19:10	8
„კოლმეურნე“ ქობ.	6	4	0	2	16:9	8
ფოთი (ნაკრ).	6	3	2	1	10:4	8
„ლოკომოტივი“ თბ.	6	3	1	2	13:8	7
„დინამო“ სოხ.	7	2	3	2	6.4	7
„მეტალურგი“ რუს.	7	2	1	4	7:10	5
„სპარტაკი“ სტ.	7	1	1	5	5:16	3
„დინამო“ გორი	7	1	1	5	6:19	3
„პიშჩევიკი“ ბორჯ.	7	1	0	6	4:27	2
„მესტპრომი“ თბ.	4	0	1	3	3:6	1

პატარა ფელეტონი

მოგვიანებული მონანიება

ფეხბურთის მატჩის რეცენზია გაზეთში სხვადასხვაგვარია. არის ინფორმაციული ხასიათის მოკლე რეცენზია, დაახლოებით ასეთი — ა. წ. 5 ივნისს ხობში გაიმართა მატჩი ადგილობრივ და საჩხერის ნაკრებ გუნდებს შორის საქართველოს პირველობაზე მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში. შემდეგ იწერება ანგარიში, ვთქვათ, 1:0.

არის რეცენზია მატჩის დაწვრილებითი ანალიზით, სადაც ავტორი — ფეხბურთის სპეციალისტი გაარჩევს თამაშს, ცალკეულ მოთამაშეების ტაქტიკას, ტექნიკას, ცალკეულ მომენტებს, გატანილ გოლებს. აღწერს პირველ ტაიმს ცალკე, მეორეს ცალკე. მაგალითად — შესვენების შემდეგ, ხობელებმა (ან საჩხერლებმა) შეცვალეს თამაშის ტაქტიკა, ნახევარდაცვა ჩაება თავდასხმაში, ამოქმედდა ფლანგები და ა. შ.

ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას აღვწეროთ თამაშის მსვლელობა. ეს იყო ერთ-ერთი უმოკლესი მატჩი ფეხბურთის ისტორიაში. არც მეტი, არც ნაკლები — იგი გაგრძელდა 10 წუთს.

მაგრამ მიუხედავად იმისა. რომ გუნდებს დროის რვა მეცხრედი არ უთამაშიათ, მატჩი მაინც მეტად საყურადღებო და საინტერესოა. სწორედ ის 10 წუთია აღწერის ღირსი.

თამაში დაიწყო ისე, როგორც საერთოდ იწყება თამაშები არა მარტო მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში, ხობში, არამედ, თბილისში, მოსკოვში, ბუდაპეშტში, ლონდონში და ასე გასინჯეთ, რიო-დე ჟანეიროშიც. მსაჯმა მისცა სასტვენი, ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბურთი წინ გაუგორა შუამარბს და 22 ფეხბურთელი მოძრაობაში მოვიდა.

ასე მოძრაობდნენ მოთამაშეები მე-10 წუთამდე, სანამ საჩხერის გუნდის რომელიღაც მოთამაშემ ბურთი საკუთარი კარის ხაზს იქით არ გადააგდო. პირველი კატეგორიის მსაჯმა გ. მგალობლიშვილმა დანიშნა კუთხური. დანიშნა ისე, როგორც ამას დანიშნავდნენ თბილისში, მოსკოვში, ბუდაპეშტში, ლონდონში და, თქვენ წარმოიდგინეთ რიო-დე ჟანეიროშიც კი.

ხობელებმა მოაწოდეს საჯარიმო. კარის წინ ბურთისათვის ერთმანეთს შეებრძოლნენ საჩხერის გუნდის კაპიტანი დუშუაშვილი და სტუმრების ცენტრალური თავდამსხმელი. ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიიღო ბურთი, მაგრამ მათ ზურგს უკან აღმოჩნდა ხობელთა მარცხენა გარემარბი ბუკია, რომელმაც მიიღო ბურთი და გაიტანა კიდეც იგი კარში — 1:0.

ეს იყო და ეს, მთელი ფეხბურთი ამ 10 წუთში მორჩა. ფეხბურთი მორჩა და დაიწყო აყალ-მაყალი, დავიდარაბა, უდისციპლინობა, მაყურებლისა და მსაჯის უპატივცემლობა.

როგორ, გოლი გავიდა ჩვენს კარში? საჩხერელი ნ. ბარიოიანცი მიეჭრა მსაჯს — შენი ოხერი... (ბოდიშს ვიხდით მსაჯის წინაშე ბარიოიანცის უშვერი ლანძღვა-გინების თუნდაც ამ დასაწყისის აქ მოყვანისათვის), შე ასეთო, შე ისეთო. შემდეგ მოუბრუნდა თავისი გუნდის წევრებს: ჰაიდა, ბიჭებო, წავიდეთ მინდვრიდანო.

მატჩი იშლებოდა. მსაჯმა გამოუძახა საჩხერის გუნდის წარმომადგენელს კ. თურმანიძეს და ახლა მას მისცა წინადადება, გუნდი დაებრუნებია მოედანზე. თურმანიძემ ვაჭრობა დაუწყო: თუ დაუშვებ გაგდებულ მოთამაშეს (იმას, რომელმაც მსაჯს რჯული და მასაფი აგინა), გუნდს გამოვიყვან თამაშზე, თუ არა და არაო.

15 წუთი უცადა მსაჯმა საჩხერლებს, რამდენჯერ თხოვა თურმანიძეს, მაგრამ თურმანიძე მტკიცედ იდგა თავის კატეგორიულ უარზე და ფეხს არ იცვლიდა.

მატჩი ჩაიშალა. მაყურებლები გაწბილებულნი, უკმაყოფილონი დაიშალნენ.

საჩხერლები დაბრუნდნენ სახლში. შეიძლება აქ შეეგრძნოთ მათ თავისი დანაშაული, მოეწვიათ საერთო კრება, დაესაჯათ დამნაშავენი, მოენანიებიათ დანაშაული. არაფერი ამგვარი მათ არ გაუკეთებიათ. მხოლოდ მაშინ, როცა ზოგიერთი მათგანი დაიბარეს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში, მათ აქ დაწერეს მოგვიანებული მონანიება (ზ. მღებროვის, კ. თურმანიძის, ნ. ბარიოიანცის, ვ. ონანოვისა და გ. ანასაშვილის ხელმოწერით). მაგრამ აქაც, ამ „მონანიებაშიც“ მსაჯის მიმართ ყოვლად დაუსაბუთებელი, უსამართლო საჩივარი ჩაწერეს საჩხერლებმა. „თამაშს სჯიდა პირველი კატეგორიის მსაჯი მგალობლიშვილი, რომელმაც დასაწყისიდანვე გამოიჩინა აშკარა ტენდენციურობა და თამაშს მისცა უფერული ხასიათი, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მოთამაშეებზე...“

საინტერესოა, რა გააკეთა მსაჯმა ასეთი 10 წუთში, რომ აშკარა ტენდენციურობაც გამოიჩინა, თამაშსაც უფერული ხასიათი მისცა და დიდი ზეგავლენა მოახდინა მოთამაშეებზე? რა თქმა უნდა, ეს ცილისწამებაა!

საჩხერლებმა მოგვიანებით მოინანიეს თავისი დანაშაული და ისიც მთლიანად არა.

ვ. ხეცურიანი

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი)

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო მატჩს დედაქალაქის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

პირველ ტაიმში თბილისელი დინამოელები რამდენადმე უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს. თუმცა თავდასხმა უკიდურესად პასიურად თამაშობდა, დაცვამ 44 წუთის მანძილზე შეძლო მოსკოველთა იერიშების მოგერიება. მხოლოდ 45-ე წუთზე გაიტანა ტატუშინმა ბურთი.

მეორე ტაიმი, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, თბილისის „დინამოს“ უაღრესად დაბალი კლასის დემონსტრაცია იყო. სპარტაკელები მოედანზე ყოველგვარი კონტროლისა და დაბრკოლების გარეშე მბრძანებლობდნენ. 11 დინამოელი დაბნეული, აბსოლუტურად დემორალიზებული უცქერდა თუ როგორ გაჰქონდათ სალნიკოვს, კეგიანს, პარშინსა და ტატუშინს ბურთები მათ კარში.

იგებდნენ რა მატჩს, ანგარიშით 5:0, სპარტაკელებმა თამაშის დასასრულს შეანელეს იერიშები და მხოლოდ ამან იხსნა თბილისის „დინამო“ კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დამარცხებისაგან.

ამგვარად, თბილისის დინამოელებმა პასივში კიდევ ერთი დამარცხება ჩაიწერეს დიდი ანგარიშით 0:5.

ახალი გამარჯვება

სვერდლოვსკი. 13 ივნისი (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დიდძალი მაყურებელი დაესწრო „ბ“ კლასის მეორე ზონის ლიდერის — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის მატჩს სვერდლოვსკის „ავანგარდთან“.

თბილისელებმა მოწინააღმდეგის კარში ორი ბურთი გაიტანეს ისე, რომ თავისაში არც ერთი არ მიუღიათ. ამჟამად არმიელები თავის ზონაში 18 ქულით განაგრძობენ ლიდერობას.

აქვე, სვერდლოვსკში, 12 ივნისს თბილისელთა უახლოესი კონკურენტი ადგილობრივ არმიელთა გუნდი შეხვდა ერევნის „სპარტაკს“. ანგარიშით 1:0 მატჩი მოიგეს ერევნელებმა.

საქართველოს პირველობა

8 ივნისს შედგა მორიგი მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში თბილისის გუნდებს — „ლოკომოტივსა“ და „მესტპრომს“ („ბურევესტნიკი“) შორის. თამაში მოიგეს რკინიგზელებმა — 3:2.

გასულ კვირას გაიმართა მორიგი VII ტურის შეხვედრები.

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა „დინამოს“ სტადიონზე მიიღო ბორჯომის „პიშჩევიკი“. პირველ ტაიმში „პიშჩევიკი“ საკმაო წინააღმდეგობას უწევდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ინიციატივა მთლიანად გადავიდა ტრამვაელთა მხარეს, რომელთაც მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 6:1.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის სტადიონზე მასპინძლებმა მიიღეს მახარაძის „კოლმეურნე“. პირველივე წუთებზე სტუმართა კარში გატანილ იქნა გოლი. შესვენების შემდეგ „კოლმეურნე“ თამაშობდა უსისტემოდ, მონდომების გარეშე, ხოლო თბილისელები ენერგიულად უტევდნენ მოწინააღმდეგეს. შეხვედრის ანგარიშია 5:0 26 კომ. სახ. რაიონის გუნდის სასარგებლოდ.

სტალინირის „სპარტაკმა“ მატჩი ჩაატარა ქუთაისში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ. დინამოელებს უპირატესობა ჰქონდათ 90 წუთის მანძილზე და გაიმარჯვეს „მშრალი“ ანგარიშით 5:0.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა თამაში სოხუმში ადგილობრივი და ბათუმის „დინამოს“ თანაკლუბელთა შორის. სოხუმელებმა მოიპოვეს თავისთვის მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება — 2:1.

მორიგი დამარცხება განიცადა თბილისის „მესტპრომის“ („ბურევესტნიკი“) გუნდმა. რომელმაც რუსთავში „მეტალურგთან“ წააგო ანგარიშით 1:2.

სოჭში შავი მეტალურგიის სამინისტროს სანატორიუმთან მოეწყო საცურაო აუზი, რომელიც გადახურულია შუშის სქელი ფილებით. იგი დამუშავებულია არქიტექტორ ს. სოლოვიოვის მიერ.

სურათზე: საცურაო აუზის სახურავის მშენებლობა. წინა პლანზე არიან არქიტექტორები გ. ბიტოვი (მარცხნივ) და ს. სოლოვიოვი.

ფოტო ე. პუგაჩევისა

ოლიმპიური თამაშების წინ

მელბურნი არ არის მზად

მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ ავსტრალია მომავალი ოლიმპიური თამაშების ქვეყანად გამოაცხადა, დიდი დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტებმა, ოფიციალურმა პირებმა, სპორტსმენებმა და პრესამ არა ერთი და ორი იერიში მიიტანეს მელბურნზე, როგორც თამაშებისათვის შეუფერებელ ადგილზე. მაგრამ ოლიმპიური კომიტეტის საკმაოდ ცნობილი პრეზიდენტი ბრენდეჯი სიტყვის კაცი გამოდგა. იგი ყოველნაირად ცდილობდა არ გამქრალიყო დღის წესრიგიდან მელბურნის კანდიდატურა და მიაღწია კიდეც ამას. გადაწყდა. 1956 წელს ოლიმპიური თამაშები მოეწყობა ავსტრალიაში. მაგრამ, როდესაც საკითხი თითქოს გარკვეული და ამოწურული იყო თავი იჩინა ისეთმა საწინააღმდეგო ფაქტებმა, რომლებმაც თვით ბრენდეჯიც კი შეაშფოთა.

კონფლიქტი დაიწყო ცხენოსნობის გარშემო. ავსტრალიაში მოქმედი კანონით თურმე შეუძლებელი ყოფილა უცხოეთიდან მატერიკზე ცხენების შეყვანა. საჭირო გახდა ცხენოსანთა შეჯიბრებებისათვის სხვა სახელმწიფოს შერჩევა. სერიოზული კამათი გამოიწვია სპორტულ წრეებში სპორტსმენთა აკლიმატიზაციის საკითხმაც. როგორც გაზეთები წერდნენ, მელბურნში პრობლემა იქნება მონაწილეთა, ჟურნალისტთა და ტურისტებისათვის საცხოვრებელი ბინების გამოყოფა. შემდეგ გამოიძებნა სხვა „წვრილმანი" ხელის შემშლელი ფაქტებიც. თურმე ავსტრალიაში 6 საათის შემდეგ სასადილოები არ მუშაობენ. ხოლო შაბათს დღის პირველი საათიდან ორშაბათ დილამდე სამრეწველო, სავაჭრო და გასართობი დაწესებულებები იკეტება.

ყველაფერმა ამან და სხვა კიდევ მსგავსმა „წვრილმანებმა" ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბრენდეჯი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საჭირო იყო რაიმე სასწრაფო ზომის მიღება, მდგომარეობის გამოსწორება. სანამ პრეზიდენტი გამოსავალ გზებს ეძებდა, ავსტრალიიდან ახალი, კიდევ უფრო არასასიამოვნო ცნობები მოვიდა: შეფერხდა საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც 1955 წელს უნდა დამთავრებულიყო. ოლიმპიურ სტადიონზე შეწყდა სარემონტო სამუშაოები. იმისათვის, რომ ველოსტადიონი თამაშების შემდეგ პროფესიონალური შეჯიბრებებისათვის გამოეყენებიათ, გადაწყდა 250 მეტრიანი ხის ტრეკის აგება, ნაცვლად 333 მეტრიანი ბეტონის ტრეკისა. (უკანასკნელს ითვალისწინებს ოლიმპიური თამაშების დებულება).

ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე დღეში ბრენდეჯმა განაცხადა: „ყველაფერი კარგად მიდის! არა მგონია რომ მელბურნს წაერთვას ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება". მაგრამ პრეზიდენტის სიტყვები ნაჩქარევი გამოდგა. ამაში იგი სულ მალე დარწმუნდა.

— მე არ მეგონა, — განაცხადა ბრენდეჯმა მოგვიანებით. — თუ ასე მიუშვებდნენ ხელს ოლიმპიადისათვის მზადების საქმეს ავსტრალიაში. აქ ნამდვილად არაფერი არ გაკეთებულა.

ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაზეთებს დაეწყო კამპანია ავსტრალიის წინააღმდეგ. არის თუ არა კიდევ მელბურნიდან ოლიმპიური თამაშების გადასატანი დრო? აი რა აინტერესებს დღეს ქვეყნების ოლიმპიურ კომიტეტებს. ბევრს კარგად ახსოვს 1904 და 1908 წლების მაგალითი, როდესაც ჩიკაგოსა და რომს ჩამოერთვა თამაშების მოწყობის უფლება ერთი წლით ადრე. ყველა ამ საკითხს მიეძღვნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პარიზის სესია — რომელიც გაიმართება ივნისის ბოლო რიცხვებში.

ამერიკელები შეშფოთებულნი არიან

არასდროს არ ყოფილა ამერიკის შეერთებულ შტატებში ოლიმპიური თამაშებისთვის ისეთი გაცხარებული მზადება, როგორც წელს. გაზეთები და ჟურნალები აჭრელებულია მოწოდებებით გააძლიერონ მუშაობა ოლიმპიური გუნდის წევრებთან. ამერიკის სპორტის მეთაურები ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ ქვეყანამ, რომელიც სულ მუდამ იმარჯვებდა ოლიმპიადებში, შესაძლებელია მელბურნში სამარცხვინო მარცხი განიცადოს.

მოსალოდნელი მარცხის თავიდან ასაცილებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა რადიკალური ზომები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სპორტის ისეთ სახეობებზე, რომლებშიც ამერიკა საგრძნობლად ჩამორჩება საბჭოთა კავშირს (ტანვარჯიში, ჭიდაობა, გრძელ მანძილებზე რბენა, მძლეოსნობა ქალთა შორის, ფეხბურთი). ოლიმპიურმა ჩემპიონმა 800 მეტრზე რბენაში უიტფილდმა, გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ „მძლეოსნობაში ევროპის პირველობის შედეგებმა ამერიკელი სპეციალისტები საგონებელში ჩააგდო. წავიდა შეერთებული შტატების სპორტსმენთა ჰეგემონიის დრო". ევროპის უძლიერეს მძლეოსანთა ტექნიკის შესასწავლად ევროპის პირველობაზე გაგზავნილ იქნა ამერიკის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შტატებში ძვირფასი მასალებით დაბრუნდა.

ამერიკა ყოველმხრივ ცდილობს არ დაკარგოს წამყვანი როლი სპორტის სხვა დანარჩენ სახეობებშიც. ამ მიზნით ძირითადი გეზი აღებულ იქნა ბავშვებზე. ასე მაგალითად: ცურვაში ჩამოყალიბდა 4 ასაკობრივი ჯგუფი. ბავშვები 10 წლამდე, 11-12 წლიანები, 13-14 წლიანები და 15-16 წლიანები. ბავშვებთან მუშაობამ მალე ნაყოფიც გამოიღო. 16 წლის მოცურავე გოგონა შელი მენი დღეს მსოფლიო რეკორდსმენია 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. ამერიკის მოცურავეთა სუსტი ადგილი კვლავინდებურად ბრასია. ამჟამად გამალებით ეძებენ მაღალი კლასის სპორტსმენებს ცურვის ამ სახეობაში.

მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები იქნა დასახული ფეხბურთის სფეროშიც. წელს პირველად 150 გუნდი მონაწილეობს ნიუ-იორკის, სან-ფრანცისკოს და ოგაიოს პირველობაზე. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალებში ბეისბოლის ნაცვლად ფეხს იკიდებს ფეხბურთი. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ფეხბურთელების ოსტატობა ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. შეერთებულ შტატებს არ უნდა ფეხბურთელთა ოლიმპიურ ტურნირში სამარცხვინო დამარცხება იგემოს და შეიძლება მასში მონაწილეობა არ მიიღოს.

ოლიმპიურ თამაშებზე 1952 წელს ჰელსინკში, ამერიკელებს დიდი სამსახური გაუწია ცხენოსანთა შეჯიბრებებმა, კერძოდ კი „ეროვნებათა პრიზის" გათამაშებამ. როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში დაკავებულმა მესამე ადგილმა, ამერიკის გუნდს საშუალება მისცა დაეგროვებინა ქულათა იმდენივე რაოდენობა, რაც საბჭოთა კავშირს ჰქონდა. ამერიკაში საცხენოსნო სპორტის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. გასულ წელს შეერთებულ შტატებში მოიწვიეს საცხენოსნო სპორტის რამდენიმე გამოჩენილი გერმანელი სპორტსმენი, მათ რიცხვში მსოფლიო ჩემპიონი ვინკლერი. სტუმრები ამერიკელ სპორტსმენებთან ერთად გადიან სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობას.

რაც უფრო ახლოვდება მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩატარების ვადები, მით უფრო მეტი შეშფოთება იგრძნობა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტულ წრეებში. ამერიკელები ვერ ურიგდებიან გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, რომ მათ შეიძლება მარცხი განიცადონ ამ თამაშებზე. „ძნელია, — წერს ერთ-ერთი ამერიკული გაზეთი, — იბრძოლო წარმატებისათვის მაშინ, როდესაც მეტოქედ გყავს ისეთი პირველხარისხოვანი სპორტსმენები, როგორებიც არიან საბჭოთა კავშირის და დემოკრატიულ ქვეყნების წარმომადგენლები."

ნ. ახვლედიანი

„შრომითი რეზერვების" სპარტაკიადა

დამთავრდა „შრომითი რეზერვების" სკოლების მერვე რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა, ქართული ჭიდაობა, სროლა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი და შაში. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით წლევანდელი სპარტაკიადა უფრო მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული იყო. წელს სპარტაკიადაში პირველად მონაწილეობდნენ ბათუმის № 1 სპეცსახელოსნო სასწავლებლის, ენისლის № 2 სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ბორჯომის № 7 სახელოსნო სასწავლებლისა და თბილისის სახელოსნო, რკინიგზისა და საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ნაკრები კოლექტივები. ცხრა დღიანი ბრძოლების შემდეგ სპარტაკიადაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის ზ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი. მეორე ადგილზეა რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებელი, ხოლო მესამეზე — ბათუმის სპეცსახელოსნო სასწავლებელი.

სპორტის ცალკეულ სახეობათა მიხედვით სპარტაკიადაში გამარჯვებულმა თბილისის მე-11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის ფიზკულტურელებმა გუნდური პირველი ადგილები მოიპოვეს მძლეოსნობასა და კალათბურთში. რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებელმა გაიმარჯვა ტანვარჯიშსა და ფეხბურთში. ცურვაში უძლიერესი აღმოჩნდა № 6, ხოლო სროლაში — № 5 სასწავლებელი. ენისლის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლის მოჭიდავეებმა დაამარცხეს ყველა მოწინააღმდეგე და სპორტის ამ სახეობაში გაიმარჯვეს. ფრენბურთში, ჭადრაკსა და შაშში გუნდური პირველობა მოიპოვეს ბათუმელმა სპორტსმენებმა.

პირად პირველობაში წარმატებით გამოვიდნენ და რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: 100 მეტრზე რბენაში — ა. ცერცვაძე, ბადრის ტყორცნაში — ა. თუხეიშვილი, სიმაღლეზე ხტომაში — გ. ღოლობერიძე, 400 და 800 მეტრზე რბენაში — ე. ციციშვილი. 100 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჩემპიონი გახდა ვ. კოკოევი, 200 მეტრზე ბრასით — ი. იერლიკოვი. ბატერფლაით ამავე მანძილზე უძლიერესი იყო მ. ლიდიაევი.

ჩატარებულმა სპარტაკიადამ დაგვანახვა, რომ რესპუბლიკის სახელოსნო, საფაბრიკო-საქარხნო და რკინიგზის სახელოსნო სასწავლებლების ძირეულ კოლექტივებში ძლიერ სპორტსმენთა გამოსავლინებლად ერთგვარი მუშაობა წარმოებს. გამტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივები. მრავალმა ახალგაზრდამ თავი გამოიჩინა, როგორც კარგი მომავლის მქონე სპორტსმენმა.

შეჯიბრებამ გამოავლინა ნაკლოვანებანიც, სპორტის ცალკეულ სახეობების მიხედვით ბევრ მონაწილეს მეტად დაბალი შედეგი ჰქონდა. საჭიროა ძირეულ კოლექტივებში მეტი ენერგიული მუშაობა და საქართველოს „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურელები მომავალ შეჯიბრებაზე უკეთეს შედეგებს აჩვენებენ.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ სპორტის სახეობათა მიხედვით შეიქმნა ნაკრები გუნდები, რომლებიც სათანადო წვრთნის შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ „შრომითი რეზერვების" საკავშირო სპარტაკიადაში. იგი წელს პირველად მოეწყობა ქალაქ კიევში, ივლისში.

შ. ლაშხი

სპორტულ საზოგადოებებში

„მეტალურგი"

დამთავრდა სპორტსაზოგადოება „მეტალურგის" ჭიათურის საქალაქო საბჭოს თასის გათამაშება ფრენბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სტალინისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროთსამმართველოების ფრენბურთელები. გაიმარჯვა სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გუნდმა.

გაუმართლებელი მიზეზებით შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ლენინის, კაგანოვიჩის, დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოებისა და სხვა დამხმარე წარმოებათა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები.

დ. გოგებაშვილი

„პიშჩევიკი"

სოფელ მარტყოფში მოეწყო საჩვენებელი სპორტული გამოსვლა სიმძიმეთა აწევაში, კრივში, სპორტულ ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში.

ცენტრალური საბჭოს მრავალგზის ჩემპიონმა სიმძიმეთა აწევაში ო. ჭიჭინაძემ მაყურებლებს მოუთხრო სპორტის ამ სახეობაში საბჭოთა მიღწევებზე და საუბართან ერთად პრაქტიკულად აჩვენა სიმძიმეთა აწევის ტექნიკა.

მაყურებელთა წინაშე წარმატებით გამოვიდნენ მოკრივეები და ტანმოვარჯიშეები. ახალგაზრდობაში განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია აკრობატების სპორტის ოსტატ ვ. კოჩერგინის, პირველთანრიგოსნების გ. დევდარიანისა და ლ. მჭედლიშვილის გამოსვლამ.

ს. გოგორიშვილი

შამათი ნახევარ სვლაში!



არ გაგვკიცხოთ, მკითხველო, ჩვენ არ ვხუმრობთ. სინამდვილეში დიაგრამაზე მოყვანილ პოზიციაში დამწყები თეთრები...

სად უნდა იყოს შავი მეფე?



დაფაზე როგორც ხედავთ, თეთრების ყველა ფიგურაა. სად უნდა იდგეს შავი მეფე, რომ თეთრებს შეეძლოთ მისთვის სამ სვლაში შამათის გამოცხადება?

რედაქტორი **ი. უგულავა**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებებისა — 3-90-34, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

უე 04226

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.